ფასი 50 მ.

ეშმაკის მათრახი



№ 46

1920 წ.
ოქტომბრის 24

მიბაძვა რეპინისა

„დაჯდენ წერად წერილისა საამოსა საამბობლად“



უძლეველად დარჩენილნი და აწ გაკომუნისტებული ოსმალეთის ფაშები ამხანაგურ წერილს სწერენ მოსკოველ ფაშებს

თამარ-მეფე თუ „კაროჟნა“?

„გაგიჟდა... მაშასადამე—გადაიცვალა
პოეტი პაოლო იაშვილი...
პოეზიისთვის ბევრი იწვალა
მაგრამ არ იყო მისთვის საშველი.
როდესაც იყო სუსტი, პატარა,
მკითხავმა უთხრა: „იყავ გმირია“.
ოცდა რვა წელი მან გაატარა
და ოცდა ცხრაზე გადაირია.
იყოს უკვდავი მისი სამარე,
და იქ შეევსოს ამ ქვეყნის ნაკლი...
იქ ყავდეს ცოლად მეფე თამარი
და მაყრად ყავდეს მეფე ირაკლი“.

ეს ჩემი ლექსი არ არის.

თითონ პოეტმა პაოლო იაშვილმა დასწერა ეს ლექსი და შემდეგ „ცისფერი ყანწების“ კვირეულ გაზეთ „ბარიკადის“ პირველ №—ში მოათავსა.

ყველაზე უფრო შესანიშნავი აქ, ჩემის აზრით, ლექსის ბოლოა:

— იქ ყავდეს ცოლად მეფე თამარი და მაყრად ყავდეს მეფე ირაკლი!

— პაოლო იაშვილს ცოლად—თამარ-მეფე, მაყრად—ერეკლე მეფე!..

თქვენი არ ვიცი და მე კი ნათლად მიდგას თვალ-წინ ის საუცხოო სურათი, რომელიც გადაიშლება საქიოს, უკეთუ პაოლო მართლაც „მიუშვეს“ თამართან.

თქვენა გგონიათ, შეეპუება?—„არ შეგეპამოთ ჭირმა!“

დაინახავს თუ არა მშვენიერ თამარს, ჯერ თვალებს „დაუბრიალებს“ თავისებურათ და შემდეგ, არც აცივებს, არც აცხელებს, „ხელის ფათურს“ დაუწყებს.

როდესაც შეურაცყოფილი და აღშფოთებული თამარი მრისხანეთ წამოდგება მზის სხივებით მოოქრული ღრუბლის ტახტზე, პაოლო ზესტაფონურ „ამიკოშონობას“ მოჰყვება:

— ჰო, რა არი, ბოშო, ახლა? არ გცხვენია მაგის, თამარა? დაჯედი ერთ მინუტში, რა იყო?.. გინდა, ახლავე გვირგვინი ვიფსკვნათ!.. ერეკლე წამოგვყვება მაყრათ!..

ხოლო, როდესაც საქმეში შოთა ჩაერევა და შუაში ჩაუდგება თამარსა და პაოლოს, უკან ასკნელი გულში ხელსა ჰკრავს მას, უკან გადახტება „ფონ-ცკურათ“ და რეოლვერს იშიშვლებს:

— არ გამიექანო, თორა გესვრი! გესვრი, მამა ჩემი ნუ მომიკვდება, ჯიბრაელი! შენ ის არ გეგონოს, მიტომ მოგერიდო, რომ გაკრეტინებული „ვეფხის ტყაოსანი“ დაგიწერია! შენისთანა პოეტების რა მცოდნია! უკან დეიწი-მეთქი, გელაპარაკები!..

და საქიოს გამეორდება ერთი იმ სცენათაგანი „დარბაზში“, „ქიმერიონში“, რუსთველის ქუჩაზე და სხვაგან რომ გვინახავს კვირაში ორსამჯერ...

არ გეგონოს, მკითხველო, თითქოს ეს სცენა მე ისე ამეწეროს... შენ გასაცინებლათ!

სასაცილო იმდენათ ეს სცენა კი არ არის, რამდენათაც ის გარემოება, რომ ეს სცენა ზედ მიწევნით ახასიათებს საერთოდ „უანწელ“ პოეტებს და მათ ახალ ორგანოს „ბარიკადს“.

განა მარტო პაოლოა ასეთი?

თქვენ გგონიათ, მაგალითად, ტიციან ტაბიძე ნაკლები პრეტენზიების ვაჟია?

ეს თამარსაც არ დაგჯერდებათ და ქალწულ მარიამს „გოუკეთებს პრედლაჟენიას“.

ხოლო რაც შეეხება მაყრის არჩევას, ვინ იცის, თუ კაი გუნებაზე დარჩა, შეიძლება დავით აღმაშენებელი გააბედნიეროს.

მაგრამ რის პაოლო, რა ტიციანი?

უკანასკნელი ნიკოლოზ მიწიშვილი რომ აიღო, ჟანნა დ'არკზე ნაკლებ საცოლოს ისიც არ გაიკარებს და მაყრად უთუოდ წმინდა გიორგის წაიყვანს...

რას იზამთ? ასეთია „უანწელების“ ბუნება, და!

პირადათ, ყველა მათგანი ძალიან მიყვარს, მიყვარს მათთან ყოფნა და ბაასი, რაცა ერთმანეთს არ უტყაპუნებენ, ან სხვებს არ ალახვინებენ თავს, მაგრამ, რამდენათაც ერთი ქართველთაგანი ვარ და საქართველოს შემადგენელ ატომთ მაინც ჩავითვლები, მე, ჩემდა თავად, საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ

— პაოლო იაშვილს თამარ მეფეს ვერ მივათხოვებ!

ბოლოს და ბოლოს, მე მგონია თითონ პაოლოც არ იქნება ბედნიერი თამართან და რამდენიმე ხნის შემდეგ სინანულს მიეცემა და ახალ ნატვრას დაიწყებს.

— ნეტავი მყავდეს ცოლად „კაროჟნა“
და მაყრად მყავდეს ჩემი ტიციან!

მართლაც და, შენ თითონ გასაჯე, მკითხველო: განა თამარ მეფეზე შესაფერისი არ იქნებოდა პაოლოსთვის ვინმე მაღლაკელი აგრაფინა, რომელსაც ხონის პროგიმნაზია აქვს გათავებული და რუსული ლაპარაკი უყვარს:

— Какъ тебѣ не стыдно, бѣча Павлушa! поѣдемъ на дачу въ Квишхетахъ! лучше деревни что есть, а? შენ ხო პოეტი ხარ, დუშა: ты долженъ любить лону природы!...

მაგრამ რასა ბრძანებთ?

სად „უანწელები“ და სად „კაროჟნა“ და აგრაფინა!

იმათ უნდა ყავდეთ ცოლად თამარ-მეფე, ჟან-

ნა დ'არკი, სულამითი, მშვენიერი ელენე, ხოლო მაყრებად—რიჩარდ ლომ-გული, ერეკლე მეფე, სამსონ ძლიერი, თეთრი გიორგი...

დედოფალზე დაბლა ცოლი არ უნდათ და მეფეზე ქვევით—მაყარი!

ეს იმიტომ რომ თითონ მეფეები არიან, გვირგვინოსანნი!...

— ისპანიაში აღმოჩნდა მეფე! ეს მეფე ვარ მე!—სრულიად გულწრფელად გამოაცხადა გოგოლის შეშლილმა, მაგრამ ნამდვილათ მეფე კი არა, ტიტულიარნი სოვეტნაკი იყო.

— პოეზიაში აღმოჩნდა მეფე! ეს მეფე ვართ ჩვენ!—აცხადებენ ჩვენი ყანწელები, მაგრამ ნამდვილათ სწორეთ ტიტულიარნი სოვეტნიკები არიან პოეზიისა!

— ჩვენა ვართ ჭიპი ხელოვნებისა! ჰყვირიან პაოლო და ტიციანი.

— ბატონებო! ბრძანდებოდეთ რისიც გინდა ჭიპები, მაგრამ ჩვენ თავი დაგვანებეთ, ნუ აგვიკელით ამ ტრაბახობით.

სწორეთ გუშინ იყო: ერთ „ჭიპთაგანს“ ჰკითხეს, როგორ არ მოგბეზრდათ ეს გაუთავებელი და თავზე ხელ-აღებული ტრაბახობაო?

იცით, რა უპასუხა „ჭიპმა“?

— ეს ჩვენი ბრძოლის საშუალებაა. ჩვენ როდი მოგვიგონია, ევროპაშიაც ასე იყოო.

ჯერ ერთი, ჩვენმა „ჭიპებმა“ ერთხელ და სამუდამოთ უნდა იცოდნენ, რომ მათ არავინ ებრძვის და მეორე,—ევროპა აქ არაფერი მოსატანია, რადგან „Quod licet Jovi, non licet bovi“, ე. ი. რაც იუპიტერს შეჰფერის, ხარს არ შეეფერება, თუნდ ეს ხარი წითელიც იყოს და თავი ღმერთად მოჰქონდეს.

ევროპაში თუ ტრაბახობდენ და იქადოდენ, „ძალიც შესწევდათ ქადილსა“.

არხიმედმა სთქვა: დასაყრდნობი წერტილი მომეცი და ქვეყანას გადავაბრუნებო.

ეს დიდებული ნათქვამი იყო.

მაგრამ იგივე რომ სთქვას ჩვენს დროში ვინმე მეხუთე კლასელმა გიმნაზიელმა, რომელიც ეს არის ახლა შესდგომია ბერკეტების თეორიის სწავლას, ყოვლად სასაცილო იქნება.

მე მრწამს, რომ ზოგ თქვენგანისთვის ღმერთს მოუცია პოეტური ნიჭი.

კეთილი და პატიოსანი!

მოდით, თქვენც „დასჯერდით და მას უბნობდეთ“!

თორემ ერთ სკრუპულ პოეტურ ნიჭთან რომ ადამიანს ათი ფუთი ტრაბახობის ნიჭი დაჰყვება, ეს არა მარტო სასაცილოა, საზიზღარია თანაც!

არა ერთხელ ურჩევიათ თქვენთვის და ახლაც გულწრფელად გიმეორებენ:

— მოდით, მოუარეთ იმ ერთს სკრუპულს ნიჭისას და ნუ დაახრჩობთ ტრაბახობის ზღვაში!

თქვენ ხომ ესთეტიკოსებს უწოდებთ თქვენს თავს.

შეიბრალეთ სილამაზე!

მორცხვსა და ნაზ მუზას არ შეჰფერის მეტიჩრული ბაქიობა და კუდაბზიკობა!

ან კიდევ სობაკევიჩივით ყველასი ლანძღვაგინება!

ნუ ეპოტინებით თამარსა და ერეკლეს!

თორემ მაღლაკელმა „აგრაფინამ“ იცის შურის ძიება:

როცა საიქიოდან დაბრუნდებით კუდ-ამოძუებული, დაეცემით მუხლის თავებზე და „პრედლაჟენიას გაუკეთებთ“, ისიც აიღებს და...

—„ატკაზს“ დაგარტყამსთ:—ბეჩა, ПОЗДНО-ო, გეტყვისთ.

თაგუნა

წვეულის თანაშემწე

სოციალ სტუმრებს ერთი ვახშამი ჩვენც გაუმართეთ.
ქეიფის გეგმა წინდაწინ შესდგა ჩვეულზე ფართედ.
ნოე მეორემ თუმც შეჰკვეცა ჩვენი განზრახვა:
ბოლომდე სტუმრებს არ დასცალდა ქეიფის ნახვა.
ტრატორებსაც შეართვა „რეჩის“ სიგრძე და განი
და შეამოკლა წინ განძრახული ლხინის საგანი.
ეგ არ მადარდებს ჩემი წუხილი ღრმაა და დიდი:
რატომ მომიჭრეს ქელეხში ყოფნის გზაი და ხიდი?
რა წახდებოდა ნახული თქვენთვის რომ გადმომეცა
და წვეულთ რიცხვში „ვ. ხშმის კომიტეტს“ ჩავესვი მეცა?
მარა დარბაზმა ვერ დაიტია „რჩეულთ“ ლაშქარი
(ყველა სახათრო მონა-მხევალი) ვის უთხრან ვარი!
მიმართეს ისევ სადიპლომატო ხერხსა და ლონეს
და წვეულს გარდა მათ „თანაშემწე“ გამოიგონეს.
(წვეული მოკვდა ან და შემთხვევით ის გახდა ავად,
მის ადგილს იჭერს ეს „თანაშემწე“ ხომ თავისთავად)
არავინ მყავდა დოსტი „ვახშმის კომისიაში“
და გადამრიცხეს „თანაშემწეთა“ წყეულ სიაში.
არც ვინმე მოკვდა, არც ვინმე გახდა ჩემ ჟინზე ავად,
არც მერგო წილი მე **სნოუდენის** იქ სანახავად,
მარა ქემალმა თუ ისე ადრე არ დაიძინა
და ამ ზამთარში ჩვენი საძლვრისკენ არჩია ბინა,
მის „შესახვედრად“ ხომ შეიცვლება მაშინ როლები
და **„თანაშემწედ“** ჩაირიცხება **წინამძღოლები?**
მაშინ ხომ მიწვევთ ქემალის ფრონტი თუ გაიჭიმა
თქვენ სნოუდენთან და მე ქემალთან? ონჯლორე, ჯიმა!

ბუტუნა

პიური და თეატრი

ბათომის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობის მორიგი წევრი, ამხ. გრიშა ნუცუბიძე მეტად ცუდ გუნებაზე იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ორი ლამაზი ქალი — თამარა და ემელია — გამგეობის ლოჟაში მოათავსა, შრომის კომისარი და გვარდიის ოფიცერი — საგანგებო კომისრის ლოჟაში, ოცდაათამდე გვარდიელი ქანდარიდან პარტერში ჩამოიყვანა, სცენის მოყვარეები მარჯვენა ლოჟებში ჩაამწკრივა, მიუხედავათ ყველა ასეთ არაჩვეულებრივ ზომისა, თეატრი თითქმის ცარიელი იყო. კასაში ოთხმოცი ათასის მაგიერ 15 მანეთი იყო, ხოლო ხარჯები კი 25.000 მან. მეტი.

ცხრა საათზე ფარდა აიწია. წარმოდგენა დაიწყო.

— ჩვენი საზოგადოება განებრივებულია: რომ დაიწყება წარმოდგენა შემდეგ მოელენო — დაიმშვიდა გული ამხ. გრიშამ და გამგეობის ლოჟაში თამარას მიუჯდა.

მაგრამ გათავდა პირველი მოქმედება, მეორე, მესამეც და ხალხი კი არსად იყო.

გამგეობა სავონებელში ჩავარდა. მეორე დღეს საგანგებო სხდომა მოიწვიეს.

— ამხანაგებო! სთქვა გიორგი ვისოცკიმ: სანამ ქართული წარმოდგენების დადგმას დავიწყებდით, ჩვენმა საზოგადოებამ ყური გაგვიყრუა ჩივილით: ყოველი ჯურის და მილეთის ხალხი მართავს წარმოდგენებს და ქართველებს კი გვძინავს: დავიწყეთ ქართული წარმოდგენების დადგმა, 15 დეკემბერს სეზონი უნდა გაიხსნას და ჩვენი საზოგადოება კი თეატრს არ ეკარება.

— ჩვენი საზოგადოება საავარაკოთაა წასული.

— დიახ, საავარაკოთ. ზოგი ივ. მგელაძის საკანდიტერო'ში, ზოგი „რაზსვეტში“ ხოლო უმეტესობა ცირკში. საგანგებო კომისრის ლოჟა ცირკში მუდამ სავსეა, ხოლო ჩვენ წარმოდგენაზე ერთხელაც არ მინახავს ვინმე ყოფილიყოს! შესახედათ მაინც! ფულს ხომ არ ვახდევინებთ. გაჯავრებით წამოიძახა ერთმა.

კიდევ დიდხანს იმსჯელეს, იბაასეს, მაგრამ

გამოსავალი ვერ ნახეს. ეშმაკმა ბათუმში ყოფნის დროს მთელ საათს უბრახუნა ბლიკვაძის კარებს, მაგრამ ვერ გააღებინა და მთელი ბათომის საზოგადოების გამოღვიძება ისე ადვილი ხომ არაა?!

ბოლოს გამგეობამ დაადგინა:

მიმართოს შრომის კომისარს ამხ. აფთონ წულაძეს თხოვნით: აღმოუჩინოს რაიმე დახმარება წრეს, მისცეს რჩევა, თუ რა ზომები მივიღოთ, რომ ქართველი საზოგადოება ქართულ წარმოდგენას დაესწროს.

წრის დელეგაცია ამავე დღე' ეწვია შრომის კომისარს.

ამხ. აფთონი სავონებელში ჩავარდა. ნიდაყვები მაგიდაზე დაადო, ზედ თავი დააყრდნო და დაიწყო საშუალების ძებნა. დელეგაცია სულგანაბული უცქეროდა კომისარს.

დიდი ფიქრის შემდეგ კომისარმა სთქვა:

— ერთად ერთი საშუალება, ჩემის აზრით არის პური. დუ შრომისა და მომარაგების მინისტრმა ნება დართო, არ მივსცემ იაფ პურს იმას, ვინც სახალხო წარმოდგენათა მმართველ წრის წარმოდგენებზე არ ივლის.

დელეგაციის თხოვნით კომისარმა იმ დღესვე გაგზავნა შუამდგომლობა სამინისტროში.

გრ. სლუჩაინი.

P. S უკანასკნელ ცნობიდან გავიგეთ, როც სამინისტროს მიუღია ბათომის შრომის კომისრის შუამდგომლობა. სათანადო განკარგულება უკვე აქვს ბათუმის მუშათა მაგიდის გამგეს სე^გო ყუფარაძეს. დღეიდან იაფ პურს ვერავინ ვერ მიიღებს ისე, თუ სახალხო წარმოდგენათა მართველ წრის წარმოდგენებს არ დაესწრო შმაევსკის თეატრში. რასაკვირველია, უპირველესათ ყოვლისა თვითონ გამგე და მისი თანამშრომელნი.

გრ სლ-ნი

გურული სცენა

(შარაზე)

— აი, ვადილე და არ გაგითენდა ხვალ დილე რავაცხა ჯღორინობთ ჩვილ-ხფოიან ძროხასავით თქვენ დასაღუპავებო. სიმღერა კი არა ცოცხლითე უნდა დეითხაროთ თვალები და ჩაძვრეთ მიწაში, ბათფანი სიმინდი ათას მანეთამდი ევიდა და აგენი აქანე ვადილას მღერიენ. ვაი, სათხარ ერთო შავო ქამო ანდა ნელილის მხეცო ბალშენიკო, რომ იგინს გუუმწარო სიცოცხლე ვინცხამ აგი მჭადი გააძვირა ასთე საიაგაბოთ...

— ვის ელაპარაკები ამ შარაზე ფოსინე?

— ვის და ეშმაკს და ქაჯს ფოტინე, რავიცი ვის ველაპარაკები, სიმღერა გევიგონე აგერ და კალამ გავსკტი ქალი კაკალ გულზე, ან კი რას ვერჩი, მარა აი სამიწე გული მაინც რაცხა თლათ ქვასავით გადიქცა. „ღვთის რისხვათ მეყურება ყორიფელი“...

— აწი რავა, რა დაგემართა ამისთანე?

— რავა რა დამემართა შენი ჰირიმე, უწინდელ დროში სიმინდს ახლის გახმობამდი სულ ძველს ვჭამდი და ახლა ძველი კი არა, ჰყინტათ უნდა შევჭამო თუ რამე მევიდა ორი კოტე...

— ბეჩა რავა, აგი მარტუე შენდა კი არაა, ასთეა თელი ქვეყანა...

— ჰო და, იმას ვჩივი მეც, თვარა ჩემი თავი თუ გინდა ჯანაბას, მე ახლავილე მევიკლავ თავს, დევითხრი თვალებს ფულუსავით და ჩავძრობი მიწაში, მარა ბალნები მეცოდება, იგენს რა ეშველება. ვფიქრობდი: აგი წროულსაა ასთე თვარა გაისად უკეთესათ იქნება მეთქი, მარა რაც დროი გევიდა ჩემი საქმე თლათ უკულმა წევიდა.

— შენ მაგას ვერ იტყვი ფოსინე. ეოჯახი ღვთის მოცემული ძაან გაქ, ქმარი კაი გყ ვს და შვილები...

— რაღა მაქვს შენი ჰირიმე, ერთი უღელი ხარი მყავდა, ცალი შარშან ჰირმა მომიკლა და ცალი წროულს ქე გაყიდა კაძახმა სიმინდის ფასიზა, ბობოლი ქე გამიფუჭდა მე მიწა გასახეთქს, ერთი ძროხა აგდია, რაცხა ვორ ჰაჰუტას მაძლევდა და ქე გაშრა, ქათამმა ერთი ვორი კვერცხი გააგდო და ქე მეიკრუხა, თხაი მყავდა იმისთანე, რომე კას მეწველ ძროხას არ დოუვარდებოდა, მარა ზე კაკალ მარიობა დღეს დავაჩაირე ღელის კარში და ქე დამერჩვა მე უბედურს, ღორი აღარ მყავს და გოჭი, ბატი და ინდოური, ბალნებს ტანზე არ აქ და ფეხზე, კაძახია და ქვეყნის საშინელადაა დაფურთხაშებული, მე ვარ აგერ და ეკაია გადარეულსავით ვიარები დაგლეჯილი, ერთი შალის ნაკაბევი მქონდა და იმდონი მგონია ბალშენიკებს რუსეთში გადატრუალება არ მუუხთენიენ, რამდონიც იგი გადავატრუალე, გადავაბრუნე და გადავაკეთე, საყიდელი ათასი და გასაყიდი აფერი, მჭამელი ცხრაი ვართ და მომტანი კი ერთი, სახლია და აგერ-აგერ დამენგრევა თავზე, დარში კიდომ აფერი და გაწუმდება თუ არა ყოოლ კუთხეში უტინტრიშებს და ლპება პოლი, სტორეთ რომ მომძულდა თავი და არ ვიცი რა მეშველება.

— ნუ გეწინია ბეჩა, ყოოლთვის ასე არ იქნება, ჩვენც გადმოგვხედავს ღმერთი...

— არა დაია, ჩვენდა არცღმერთი შოაბა სიკეთეს და არც კაცი, აი ტყავი ქე გამძვრა კუდის რიკამდი და აწი გინდა გადმოიხედოს და გინდა კვალდაუკულმა გეიხედოს, შეიდობით შენი ჰირიმე, შეიდობით, პაწე ქე მეჩქარება ეგება ქფილი ვიშოვნო კომპერატიეს დუქანზე თვარა ბალნები ქე დამეხოცება შიმშილით...

— შოვნით კი იშოვნი, მარა ღორის ხინკილეზა თუ გინდა არ ვიცი ისე კაცს არ ჩიეშობა პირში.

რ. ჯიბილ.

ჟ უ ს ტ ი ც ი ა

(პატარა ამბავი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან)



— აბა, ცოტა იჩქარე, მეგობარო! ერთი საათი-ღა დარჩა მატარებლის გამოვლამდე.—მიმართა ყაჩაღმა „ხოლერამ“ თავის მეგობარ „ბომბას“

— მოვასწრობთ!—დამშვიდებით მიუგო „ბომბამ“ და მახლობელ ტყისკენ დაიწყო ცქერა.—სადაა ამხანაგები, მოვლენ და უფრო გულიანათ ვიმუშავებთ. ესეც არ იყოს მატარებელი თავის დროზე „როდის“ მოსულა, რომ ახლა გამოიაროს, ცოტა ხომ უნდა დაიგვიანოს მაინც.

— არა, ჩემო კარგო, უმჯობესია ჩვენ არ დავიგვიანოთ და მატარებელი თუ დაიგვიანებს, ამით რასაკვირველია დიდი არაფერი დაშავდება.

— შენი აზრით საით აჯობებს გადაგდება, ხოლერ-ჯან?

— რასაკვირველია მარცხნივ. აქეთ ამ ხევში გადაიჩეხება და ისეთი ვაი-ვაგლახი ატყდება, რომ ჩვენთვის ჟდარავინ მოიცლის.

- სამი ნაჭერის აყრა იკმარებს, არა?

— როგორ ხამივით ლაპარაკობ, ბიჭო! თითქო პირველათ გიწევდეს ამ საქმეზედ მუშაობა!

ვიცი, ვიცი... ლიანდაგის აყრა არ შეიძლება, რადგან შორიდან შენიშნავენ. უმჯობესია ოთხიოდ ნაჭერ ლიანდაგისას ავაცალოთ ლურსმნები და როცა ორთქლმავალი ზედ შემოდგება, განზე გაიწევს და გზას ხევისაკენ უჩვენებს.

— მადლობა ღმერთს! ჰო და როცა იცი, რაღას მეკითხები.

ყაჩაღები „ხოლერა“ და „ბომბა“ ენერგიულად შეუდგნენ საქმეს. სწორეთ მოსახვევში, რომლის მარცხენ ნაპირას ღრმა ხევი იწყებოდა, ოთხი ნაჭერი ლიანდაგისა ახსნეს და მომავალი მატარებლის გასაძარცვავათ დაემზადნენ.

ხალხით სავსე მატარებელი უზარმაზარი გველივით მოსრიალებდა რკინის ლიანდაგებზე. ურიცხვი მგზავრე-

ბი მუსაიფში იყვნენ გართულნი. ქალები, ბავშვები, მოხუცები და ახალგაზრდანი, ყველანი არხეინათ და უშიშრად გრძნობდენ თავს; უცებ საზარელი ჭექა მოისმა და მთელი მატარებელი ხრამში გადაეშვა.

საერთო კვნესასა და წივილ-კივილში, მხოლოდ რამოდენიმე შეიარაღებული კაცის ბრძანების ხმა გაისმოდა.

— აბა გაჩხრიკეთ ყველანი. ბეჭდები, საათები, ფულები, სამკაულები არავის არაფერი დაუტოვოთ. — დას-ჭყიოდა მეგობრებს ყაჩაღი „ხოდერა“ და მისი ამხანაგები დაუზოგველათ სძარცვავდენ, როგორც მკვდრებსა და დაჭრილებს, აგრეთვე უვნებლად გადარჩენილებს.

რამოდენიმე საათის შემდეგ ყაჩაღები უკვე „სამშვიდობოს“ იყვნენ გასულნი და უღრანი ტყის ერთ-ერთ კუთხეში თავისს უხვ ნადავლს ინაწილებდნენ.

— ამხანაგებო, იმედი მაქვს ჩვენ შორის არ გამოჩნდება ისეთი უსინდისო ვინმე, რომელიც დამალავს რა-იმე ნივთს და საერთო ფონდში არ შემოიტანს. თუ ვინმეს სურს ჩხრეკას მოვახდენთ.

ჩხრეკა საჭირო აღარ დარჩა. ვისაც რა ეშოვნა, ყველამ საერთო ფონდში ჩამოაწყო. პირველ ყოვლისა გაა-ნაწილეს ფულები, შემდეგ ოქრო-ვერცხლეულობა და ძვირფასი ქვები. შემდეგ კი ტანისამოსები და სხვა უბრალო ნივთები.

თავდასხმა ერთობ ნაყოფიერი და სარგებლიანი გამოდგა. თითოეულს სულ ცოტა რამოდენიმე ასი ათასი მანეთი მარტო ფულად ერგო, ხოლო ძვირფასი ნივთები კიდევ უფრო მეტად ღირებული.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მილიციამ მიაგნო ყაჩაღების ბუდეს.

გაიმართა თავგანწირული ბრძოლა, რომლის დროს არა ერთი მილიციონერი დაეცა მუხანათური ტყვიით გან-გმირული. ყაჩაღებმა უეჭველ სიკვდილს თავი ამჯობინეს და იარაღი დაჰყარეს.

დატყვევებული „ხოლერა“ და „ბომბა“ გაძლიერებული მცველებით თბილისში ჩამოიყვანეს და ციხეში მოათავსეს.

— უთუოდ დახვრეტენ .. ხუმრობა საქმე ხომ არ არის მატარებლის დამსხვრევა; იმდენი ხალხის გაჟლეტა და დასახიჩრება; იმდენი ხალხის გაძარცვა; მერმე კიდევ მილიციონერების მოკვლა .. უთუოდ დახვრეტენ .. სხვა სასჯელი ყოვლად შეუძლებელია, ამბობდა ხალხი.



მაგრამ არც ყაჩაღთა ჭირისუფლები ისხდნენ გულ-ხელ დაკრეფილნი. ისინი უკვე დაძრწოდნენ ვექილების კაბინეტებში და ბოლოს შეჩერდნენ ვარდენ ჭექაძეზე, რომელმაც აღუთქვა დამნაშავეთა განთავისუფლება.

ვარდენ ჭექაძემ უკვე მიიღო ნებართვა ყაჩაღების ნახვისა და სატუსაღოსკენ გაემგზავრა.

— მე არა მაქვს იმედი, ბატონო ვარდენ, რომ ჩვენი გამართლება ვინმემ შესძლოს. ჩვენგან ეს თავდასხმა პირველი არ ყოფილა და პირველიც რომ ყოფილიყო, მაშინაც ძნელი იქნებოდა!..—მიმართა ვექილს „ხოლერამ“.

— რასაკვირველია, ჩემო კარგო, ადვილი არ არის. ამ საქმეს დიდი მუშაობა უნდა. რამოდენიმე ღამეები უნდა გავათენო ქაღალდებზე რომ შევისწავლო. ჩვენ ფული ისე იოლად არ მოგვდის, როგორც თქვენ.

— რას ინებებთ გასამჯელოს?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ჯერობით ადრეა, ვიცი მოვრიგდებით. შენ ის მითხარი საქმე როგორ იყო; როგორ დაამსხვრიეთ მატარებელი, რამდენი კაცი გაძარცვეთ, რამდენი ფული წაიღეთ. საჭიროა სრული სიმართლე და გულახდილობა, რომ საქმის სულში ჩავსწვდე. შემდეგ მე ვიცი.

„ხოლერამ“ ყველაფერი დაწვრილებით უამბო ვექილს. არ დაუმალავს არც ერთი სიტყვა და რაც უფრო საინტერესოა არც ერთი მანეთი.

— აი ეს ჩინებულია—უთხრა „ხოლერას“ ვარდენმა;—ახლა საქმის ავალ-დასავალი ისე ვიცი, რომ ჩემი დაბნევა შეუძლებელია. ფული ბევრ რასმე შვება, მაგრამ სახელიც ბევრს ნიშნავს. თქვენ კარგათ იცით, თუ როგორი სახელი მაქვს მოხვეჭილი. თოკში რომ ჰქონდეს თავი გაყოფილი იქიდან გამოვიყვან.

— ვიცი ბატონო! ჩვენც იმიტომ მოგმართეთ, რომ დანაშაული მიგვიძღვის და გაგვამართლოთ, თორემ თუკი არ ვიყოთ დანაშაული მაშინ ვექილიც რაღა საჭირო იქნებოდა.

— არა მეგობარო! არც ეგრეა საქმე! რამდენი სრულიად ალალ მართალი კაცი მე ციხეში ჩამეგდოს და დამნაშავე ციხიდან გამომეშვა იმდენი სიკეთე მე. ნიჭი, სახელი და ფული.

— ნიჭი და სახელი თქვენ გაქვთ, ბატონო და ფული ჩვენ შეგვაძლებიეთ. გვიბრძანეთ რამდენს ინებებთ...

— მე ფულის სახარბე არასოდეს არ მამოქმედებს. ამ საქმეშიაც იურიდიული მხარე უფრო მაინტერესებს. ბევრს. არ ვითხოვ, მოდი სანახევროთ გავიყოთ, რაც იქ იშოვნეთ. გარწმუნებთ, რომ მოგებული დარჩებით.

— ნახევარი... ეს ხომ ძლიერ ბევ...

— როგორ თუ ბევრია? სახრჩობელაზე თავი გიძევთ და კიდევ ფულებზე ლაპარაკობთ. ნეტავ ასე იოლათ მაინც არ ეყოს შექმნილი.

— რატომ არის, ბატონო იოლათ?! თავი სასწორზე გვქონდა დადებული... ან მოგვკლავდნენ, ან მოვკლავდი...

— კმარა მეგობარო. მე ბევრი ლაპარაკი დრო არა მაქვს. ჩემი სასყიდელი გითხარით. ახლა უნდა გაგიმხილო კიდევ, რომ საჭიროა ცოტაოდენი გროშები, თუნდაც ასი ათასი მანეთი, გამომძიებლისათვის, რომ საქმე არ გააღრმავოს და რაც საჭიროა ის დასწეროს, გესმის?

— მესმის, ბატონო, თანახმა ვარ, სხვა გზა მაინც არაფერი მაქვს.



— თქვენ, ბატონო გამომძიებელო, მექოთნეს ჰგევხართ. ქოთანს საითაც გნებავს ყურს იქით გამოაბამთ.— ეუბნებოდა საგანგებო გამომძიებელს ვექილი ვარდენი.—ის ახალგაზრდები რომ დაიღუპონ, ამათ თქვენ რა გაგიკეთდება და თუ მათ სიცოცხლეს მიანიჭებთ, შეიძლება არც თქვენ დარჩეთ უმადური.

— ჩვენ დიდი მოწინააღმდეგე ვართ უდანაშაულო პირთა დასჯისა და თუ საქმეში ისეთი რამ არ აღმოჩნდება, რასაკვირველია...— მიუგო ბ-ნა გამომძიებელმა, რომელიც მშვენივრათ მიხვდა გადაკრული სიტყვების აზრს.

ერთი კვირის შემდეგ ვარდენ ჭქაძის შუამდგომლობით თავდების ქვეშ განთავისუფლებული „ხოლერა“ და „ბომბა“ მილიციონერს გადაეყარნენ.

— გამარჯობა, ამხანაგო!—მიმართა დაცინვით „ხოლერამ“

— თავი შეგვაკალით, დაგვიჭირეთ და აი ახლა პატივი გვაქვს გაგეცნოთ. იმედია, შემდეგში ფრთხილად იქნები და არ მოგვიმდურებ. ჩვენს კლანჭებს იცოდე ვერსად გაექცევი.

„ხოლერამ“ არხეინათ ჩაიარა, ხოლო მილიციონერი მწარე საგონებელს მიეცა.

— ახირებულია სწორეთ, ფიქრობდა ის.—თავს სასიკვდილოთ სდებ. გგონია, ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს აკეთებ. დაიჭერ დამნაშავეს, მოიყვან და აქ ორი დღის შემდეგ უშვებენ... არ ვიცი, არ ვიცი...



ჩქარა სასამართლოშიაც დანიშნა „მტარებლის. დამტვრევისა და გაძარცვის საქმე.“ დროებით განთავისუფლებული „ხოლერა„ და „ბომბა“ გამოცხადდენ.

სიტყვა მიეცა ბრალდებულთა ვექილს და ტრიბუნაზე ვარდენ ჭექაქე ავიდა.

— ბატონო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! — დაიწყო მან.—თქვენს წინაშე სდგანან ორნი ახალგაზრდანი. მათი რაინდული სახის გამომეტყველება გმარა საბუთად, რომ იქ ამოიკითხოთ მათი სრულიად უდანაშაულობა ..

დაბარაკი დიდხანს კაკრძალდა და სასამართლომ მცირე ხნის მსჯელობის შემდეგ ბრალდებულთ გასამართლებელ განაჩენი გამოუტანა.



მადლიერი „ხოლერა“ და „ბომბა“ დიდის აღტაცებით შეხვდნენ თავის მსხნელს ვექილს, ვარდენ ჭექაძეს და აღუთქვეს, რომ არც მომავალში დაივიწყებენ მას, უკეთუ მუხთალი ბედი უდანტებს და ციხის კარებამდე მიიყვანს მათ.

— დღეიდან ჩვენ სხვა ვექილს აღარ ვიცნობთ! წინდაწინვე გაფრთხილებთ: როცა კაიგოთ ჩვენი დაჭერა დაუყოვნებლივ გვინახულო და გვიპატრონო.

— გმადლობთ, მეგობრებო,—მიუგო ვარდენმა.—მოხარული ვარ, რომ ჩემმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა.

მცირე ხნის შემდეგ ვარდენმა ცალცხენიანი ეტლი იყიდა და ქუჩაში ჯირითით თავის კოლეგებს ოვალები დაუბნელა.



აბა ცოტა ხელმარდათ, ამხანაგებო! — ეუბნებოდა „ბომბას" ყაჩაღი „ხოლერა". — ცოტა დრო დაგვრჩა, მატარებელი სადგურიდან უკვე გამოსულია....

და მეგობრები განაგრძობდენ ენერგიულ მუშაობას ვექილ ვარდენ ჭექაძის საკეთილდღეოთ.

შექანჯალებულის ლექსები

ცას საქანელას დავკიდებ,
დავიწყებ ნელა რწევასა.
ვის მწარეს ვეტყვი, ვის ტკბილსა,
ვის ლოცვას, ვისა წყევასა.

—

ცაზე ღრუბლები შავ ფრთებს შლის,
საზარ ხმით კვნესენ ქოტები.
ჩრდილოეთიდან მოსცურავს
სომხეთისაკენ „ნოტები".

—

მგელი-მგელია მსუნაგი,
ხარბი და გაუძღომელი;
უმიზეზოდ კი, აბა სთქვით—
ბატკანი სჭამა რომელი.

—

მსუნაგ დათვს საზრდო შეაკლდა,
თვალებს აქა-იქ აცეცებს;
ლაჩარი! როცა მოსდევენ,
დაბალსა ღობეს დაეძებს!

—

ქარი უბერავს დასავლით,
ხეს ალმოსავლით გადახრის;
ცუდმა მებრძოლმა არ იცის,
ფარ-ხმალს უეცრად სად დაჰყრის.

—

სხვის საქმეს შენ ვით გააწყობ—
სახლში გაქვს აყალ-მაყალი,
ნუ ეჩხირები ანტანტას,
ვერას გიშველის ქმალი.

—

სხვაგან გსურთ ცეცხლის დანთება,
ოჯახში კვდებით სიცივით:—
გტანჯავთ სურდო და ანთება,
თქვენ კი გარბიხართ გიჟივით;

—

ფართედ გაშალეთ ლოგინი
მაგრამ არ გყოფნით საბანი,
თუ ვაჟკაცს ძალა არ შეგწევს
შეგარცხვენს ტყვილა ქაქანი.

—

ზამთარი ცხვირზე მოადგა,
და გაბოროტდა რვა მგელი.
წითლები წააფორხილა,
გაგვითამამდა ვრანგელი.

—

წაჯექ და უკუჯექობა
ჩვენ არაოდეს გვჩვევია,—
სჯობს მხეცი დროზე მივბეგვოთ,
სანამ არ შემოგვჩვევია.

—

მგელი თვის მგლობას არ მოშლის,
მეტს ყლაპავს, როგორც სჩვევია;
მონელების კი—რა გითხრათ
გვინახავს ბედის მწყევია.

ცალისა ფეხით დავწნიხე
მე საწნახელში ყურძენი;
პური შევჭამე „მაგიდის“
რაღაცა ყელში ვიგრძენი.

—

მე წინააღმდეგ შავ პურის
კუჭისა თავზე მსურს აცრა;
პურის ფქვილს ვხედავ არ ვინ სცრის,
თუ თითონ ნოემ არ ვასცრა.

—

გუშინ წინ ქეთომ მაჭამა
შემწვარი ალიბუხარი.
ვის გინდა, მოდი მოგყიდო
საზამთროდ ფეჩი, ბუხარი.

—

სიზმრადა ვნახე:—რომ შეშა
ზრუგზე დამაწყვეს საჭენი,
გამოვიღვიძე... სიცივე
კვლავ ერთი ასად ვიგრძენი.

—

კვლავ წავიძინე... და ვნახე:-
სანოვაგესა ვნიხრავდი,
გამომეღვიძა... რას ვხედავ?—
კამეჩის ძვლებსა კვლავ ვხრავდი.

—

არიმანი, ნარიმამი,
ორივენი იყვნენ ძმანი,
კიროვი რუსეთს დაბრუნდა,
ჩვენსკენ მოდის შეიმანი.

—

და ჩვენი კომუნისტები
ალბობენ ჰორის გუდებსა.
ძაღლებს მით გააბღეზებენ—
რომ მიაპრიან კუდებსა.

—

დასუსტებულ შემოდგომას
კაბას ურცხვად ზამთარი ხდის.
„ამხანაგი“ ნახშირს რომ სჭამს
ნიღაბს ნეტავ, რად არ იხდის.

—

ვირთხას მოჰქონდა კატებით
ძირამდე სავსე კალათი.
სპეკულიანტი თუ არ ხარ
ვერ შეიკერო ხალათი.

—

მაცა, კაცო, უკანასკნელ
იმედის კვერცხს ნუ ამაცლი.
მაჯლაჯუნა სინამდვილემ
გამიტეხა ოქროს ვარცლი.

—

აჰა, კასრი, მაპრით სავსე,
ერთი მოსმით თუ კი დასცლი;
ეჰ, ჯალათო, ყრუ დროებავ,
ჩემით მოვკდე, რად არ მაცლი.

აგი არც შენ არ გეგონა
ასე ბლომად თუ აჭკრავდი.
აგი არც მე არ მეგონა
თავსაც თუ არ დამიკრავდი.

—

რათ მინდა შენი სალამი,
ვახრჩობს დამპალი ბონები...
რაც იყავთ, ისევ იგი ხართ
გულით და სულით მონები...

—

რა ძნელია რომ იცოდე
ფეხ ქვეშ ცერის გამოჩენა
თავი ვეღარ შეინახო,
თუ რომ არ ვაქვს „ჩამორჩენა“.

—

იას ვარდი მირჩევნია
და თეთრ პურსა ცომი პური.
სამსახურსა ის სჯობია,
დაჯდე, ჰყიდო ნიახური...

—

თურმე ცხონებულ მამაჩემს
განუზრახავს ზე ადგომა...
ისევ უკან გაბრუნდება,
რომ მოუწევს რიგში დგომა...

—

ბებია ჩემმა მომწერა
საიქიოს რუმე-რამე...
ფუთი ნახშირი ვიშოვნე ..
საბურთალოს დავხვდი ღამე...

—

ვირს ნახშირი როგორ შვენის?!
ურემს შეშა ვით უხდება...
ვუცქერ .. ვუცქერ... აბა, შენ სთქვი
ამ ჩემს გულში თუ რა ხდება.

—

ფეხსაცმელი რომ არ გაცვდეს
ფაიტონი შინ მაახლეს.
რას ერჩოდენ, ტფილისიდან
ხახვი რომ გადაასახლეს.

—

არცა მინდა შენი წირვა,
არცა შენი ზიარება...
კარტოფილი ამ ტფილისში
ნეტავ რად არ იარება.

—

ბარემ თაგვმა ხბო ჩაყლაპოს
ითამაშოს თხამ „კეკ-ვოკი“.—
ასე ერთხანს თუ გაგრძელდა,
სჯობს გავსანთლო ისევ თოკი.

—

დაევწევი ცაში არწივს
და დავადგამ უნაგერსა.
სიღნაღს მივალ, იქ დავთესავ
საჩქაროზე ხორბალს, ქერსა.

მოვმკი, გავლეწ, დავბროლებ,
ჩამოვიტან აქ ტფილისსა,
თითონ მოვზელ, გამოვაცხობ,
თითონვე მე გავცრი ფქვილსა.

—

ვინ იქნება ქრისტიანი
რომ ბორჩალოს დამანახვებს,
როგორც მითხრეს „რესპუბლიკა“
შეუქმნიათ იქო ხახვებს.

თუ არ ცივა, მაშ ეს მთვარე
რად იბურავს გარს ღრუბლებსა,
მზე ავდარში პალტოს იცვამს,
ვარსკვლავები – კალოშებსა,

—

ქარი ფოთოლთ ნაბადს ისხამს,
ცა სიცივით ცრემლს აფრქვევსა,
წისქვილები ამ ტფილისში,
ნეტავ, ქვიშას კვლავ აფქვევსა?

შეჭანჯალებული



მესტვირული

(გურიისათვის)

1

დიდი ხანია, რაც ხელში
არ ამიღია სტვირია,
არ მომიმართავს ქამანჩა,
არ მიმღერ – არ მიტირია;
ან რაღა მქონდა საკვნესი,—
რა მადგა გასაჭირია,—
ახალი ხანა დამკვიდრდა,
ძველმა წაიღო ჭირია...

—

მ გრამ თანდათან იმღვრევა
ცხოვრების წმინდა ნაკადი;
შეგვიფერვანდენ ბიჭები,
უწინ სანდონი და მარდი...
ამან მეც მომანახვინა
ჩემი გუდა და ნაბადი,—
და შეპყრობილი იქვებით
აწლა მესტვირეთ დავარდი.

—

ჯერ ჩამოვიელი გურიას,
აქაც მეყოფა მასალა,
შემდეგ გავუწევ სხვა მხარეს,
თუ-კი ამინდმა მაცალა...
ბევრია სამათრახონი,
ღონე თუ შემწევს და ძალა,
ვფიქრობ – თქვენც დამეხმარებით,
თუ შრომამ ღონე დასცალა,

პირველ ვნახავ ქალაქის თავს,
სტუმართმოყვარეა იგი;
ვკითხავ:— თფილის ქალაქთანა
რა აქვს იმას გასარიგი?!.
მუდამ იქ ზის არხეინათ...
სჯობს მონახოს თვისი რიგი,
აქ დაჯდეს და სათანადო
იქონიოს თადარიგი...

—

ამადარი „მუშაობის“
ნაყოფია თვალსაჩინო, —
რა გინდა, რომ აქ არ ნახო,
ინეტარო და ილხინო...
ქუჩა ბნელი განაპირა,
ღამით თითზეც ვერ იკბინო,
ქუჩის ლაფი და ტალახი,
გსურს – მდინარეთ დაადინო.

—

მოედანზე დასეირნობს
ღორთა ჯოგი წარა-მარა,
თხა და ძროხაც საკმაოა,
არ სჩანს მხოლოდ ცხვრების ფარა;
ნაგვითა და სიბინძურით
ქუჩები მთლად დაიფარა,
და... მაგრამ სხვა რაღა გინდათ,
განა ესეც აღარ კმარა?!

—

ნიხრზე აბა ვინ იფიქრებს,
ან ვისა აქვს სადარდელი!
დღეს რომ ასი მანეთია,

ხვალ სამასათ ფასობს ყველი...
მეეტლეს თუ ჩაუვარდი—
ვაი შენი საფანელი...
ისე გაგფცქვნის, გაგატყავებს,
როგორც მიცვალებულს მღვდელი.

—

ბინის საქმეს ნუ იკითხავთ...
აქაც სუფევს ანარქია;
ამბავსაც არვინ კითხულობს,
თითქოს აგი საძრახია...
მაგრამ იცით საამისო
ძაღლის თავი სად მარხია?!—
ხმოსნების უმრავლესობა
სახლის პატრონი ხალხია!..

—

ბაზარზე ხომ წეს-რიგია,
მზრუნველობის მოსჩანს ხელი;
ირგვლივ ისმის მოქეიფეთ
ყვირილი და ღრიანცელი.
ხშირათ „ზალპიც“ იგრიალებს,
გეგონება ბრძოლის ველი,
მილიცია არსად არ სჩანს,
არვინ მოსჩანს გამკითხველი.

—

აქ შევსწყვიტოთ, ჩემო სტვირო,
ესეც კმარა ამბათ ჯერა;
ვინ იცის—ამ ლექსისათვის
რამდენი ვინ დამემტერა...
შემდეგ კვირისთვის განვაგრძოთ
ცრემლ-ნარევი ეგ სიმღერა,
მაშინ **ერობას** ვეწვიოთ,
თუ-კი მუზამ დაგვიჯერა!..

—

აბა, სტვირო, შევასრულოთ
წინანდელი დაპირება,
თორემ შემდეგ ჩვენი სიტყვა
გროშათაც არ ეღირება.
გახსოვს,—ერობის მოღვაწეთ
რომ შევპირდით ჩვენ შექება;
მას შემდეგ რიგში გვიცდიან,
ძნელი არის გზის არება...

—

ერობაში მოკრძალებით
მე შევყვები ნელ-გრილ სიოს...
მორიდებით თავს დაუკრავ
ენერგიულ მუშაკს—სიოს.
იმას ბედმა მიაკუთვნა
ეს უღელი მძიმე სწიოს,
და ვუსურვებ, არ გაეგდოს,
რა გინდ მტრებიც დაესიოს...

—

მაგრამ მინდა მეგობრული
მასაც მივსცე ცოტა რჩევა,—
ფრთხილათ იყოს—სამფლობელოს
სიწმინდე ნუ შეეყევა...
გამგეობის ირგვლივ ხმები
ფართოდ ნუღარ გადიქცევა,
თორემ მისგან დაწყებული
დიდი საქმე დაინგრევა...

—

საჭიროა მას ეწამლოს
საქმე რაცა წამხდარია:
გზები სულ-მთლათ განადგურდა,
მიმოსვლაც საშიშარია;
ყაჩაღები გაგვიმრავლდა,
მაზრა იმათ ამარია;
მილიცია დაგვიკოპლდა,
ერთ ადგილზე დამდგარია...

—

თუმც ბევრი გაქვთ დაწყებული
საქმეები ერთობ დიდი,
მთასა და ბარს მოეკიდეთ,
გინდათ გასდოთ ზღვაზე ხიდი...
მაგრამ არ გაქვთ ერთი გროში,
არცა რამე გასაყიდი,—
და... საქმე-კი განისვენებს
ერთ ადგილზე განარიდი...

—

ვაკვირდები და არა სჩანს
თქვენი შრომის საწინდარი...
ამბობენ: „ერთსაც ვერ იქერს
ორი კურდღლის მადევარი“.
სჯობს ნელა და ცოტა-ცოტა,
არას გვარგებს საქმე ჩქარი,
თორემ ბოლოს, ვაჰ, თუ შეგრჩათ,
მოგონება მხოლოდ მწარი!..

—

სათითაოდ ვის რა ვუთხრა,
არ ვიცი—რა ეკადრება;
ამბობენ, ჩვენი გიორგი
შრომით ძლიერ იქანცება,
მაგრამ საქმით არა რა სჩანს,
„ფინანსისტი“ ტყვილათ ცდება,—
კასას გროში არ უჭყავა,
ამით გული უსივდება...

—

დანარჩენებს ადგმული აქვს
გასაქცევათ ყველას ფეხი;
კალე ძალით მოგვტაციან,
სხვებს ატყდება თავზე მეხი,—
დარწმუნდნენ, რომ არჩევნებში
დაედგმება ზურგზე კეხი...
(ზოგიერთი კი არაა
სულ-მთლათ კისერ მოსატეხი!)...

—

აქ შევსწყვიტოთ ზაზანდრული,
დამეღალა გული, წელი;
ვგონებ კიდეც გადვიკიდე
მეგობრები ძველთა-ძველი...
შემდეგისთვის კიდევ ვიტყვი
ცოტა რამეს, თუ შევსძელი,
მანამდე-კი ბოდიშს იხდის
არ სიცრუის, მართლის მთქმელი.

კენჭაძე

1924 წ. ივნისის [illegible] [illegible]
[illegible] ჯა. [illegible] [illegible]

*
* *

საშინელი სიცხეა...
იწვის სულ ყველაფერი.
ბუნებას დასდებია
მწუხარების ელფერი.
ბალში ვზივართ მე და შენ
და ვერთობით საუბრით,
ერთმანეთის თვალებს კი
ორივ მორცხვათ გაურბით.
ხან ვწითლდებით ორივე,
ხან კი ფერი გვეცვლება,
თითქოს რამის გვინდა თქმა
და არ გვაქვს ამის ნება.
უცებ, დასავლეთისამ
დაუბერა ნიავმა,
და შენ გული ფურჩქვნილი
გაშალე ვით იამა...
მიუშვირე გრილ სიოს,
თან მორცხვათ გადმომხედე,
და თვით გულის სიღრმემდე
ჩამწვდი, ცეცხლად მომედე.
მეც ველარ მოვითმინე,
კვირტზე ხელი შეგახე.
და, თავბრუ დახვეულმა,
ველარც კი დავინახე—
თუ როგორ დაგვდგომოდა
თავზე ნაცნობი ქალი,
ჩვენი ტრფობის მოწამე
თითონ ღელვით დამთვრალი.
დაინახე და მწყრალად
შენ მომშორდი ვით გველსა.
და ზიზღით გადაჰხედე
ჩვენი ხელის შემშლელსა.
გაიქეც... მიმატოვე
მარტოკა მოწყენილი...
მე კი ახლოს მოვისვი
ქალი ჩემთან შთენილი.
შევხედე, შემომხედა,
უცებ ფერი ეცვალა,
და გრძნობით ჩამეხვია
სხვისთვის სადღა გვეცალა...

შალვა ბულბული

ქ. ზესტაფონი

(შორაპნის მაზრა)

ამა წლის 4 ოქტომბერს შორაპნის მაზრის მასწავლებელთა ყრილობა, შემდგარი ექვსი თვის თავზე წინა 4 აპრილს მომხდარ ყრილობისა, მართლა რომ საიუბილეიო იყო! ამ ყრილობის მუშაობა მთელი თავისი საპედაგოგიო და უმაღლესი ზნეობის სიმძიმით, დარწმუნებული ვართ, განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს პედაგოგიკის ისტორიაში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში მღვდელ სიმონ მჭედლიძის უადგილო გამოსვლებს, რომელსაც ენაზე ეკერა „მიწიერი“ ბედნიერება და კუჭის (თუმცა კუჭისტი არ არის!) საკითხი, ყრილობა გართული იყო საქმიანი-მეცნიერული მსჯელობით.

ყრილობაზე თქვენ ნახავთ, თუ ჩხარის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის გამგე—კავაძე როგორ ბუნებრივ ფარგლებში ასწავლის თავის მოწაფეს „პოდლოგის“ ჩადენას. აქვე ნახავთ მასწავლებელთა კოოპერატივის გამგეს—კიკნაძეს, რომელიც სრულიათ უკანტროლოთ ფლანგავს საზოგადოების ქონებას. ყოველივე ამაში, რწმუნდება რა მაზრის მასწავლებელი—ხალხის განმანათლებელნი „ასამართლებს“ დამნაშავეებს და ადებს მათ თავის „მსჯავრს“, მათდამი მადლობის გამოცხადებით.

ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ დამნაშავეთ: კავაძე—კიკნაძეს ეშოვნოთ ყრილობის უმრავლესობა ნაციონალ-დემოკრატებ, ესერებ,—ფედერალისტების მიმხრობით მღვდელ სიმონ მჭედლიძის მეთაურობით, რომლებმაც „ძმა ბიჭურ—ამხანაგურათ“ ისე მოაპახრაკეს საქმე, რომ დამნაშავენი თავისუფლათ „Вылѣзли сухим из воды“-ო.

პროლეტარი



Фосмотри фажалуйска какой народъ это болшефик! мой рисъ возми, мой кишмишъ возми Ленинъ паша посылай, фешкеш красни Азирбиджанъ, теперь што будитъ кушить? скажи пожалуйска, какой время фешкеш, и зашѣмъ фешкеш???

„ეშმაკის მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი 50 მან., გამოწერა შეიძლება სამი თვით.

ჟურნალში დაიბეჭდება აგრეთვე **განცხადებები.**

მისამართი: თფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24.

საქართველოს სახაზინო რკინის გზებ. სტამბა-ლიტოგრაფია